

თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის საბჭოს
სხდომის ოქმი № 1

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფ. კ. ყურაშვილი, პროფ. ვ. გენაძე, ასოც. პროფ. თ.ალფაიძე, ასისტ. პროფ. გ.თუმანიშვილი, ასისტ. პროფ. ა. აბაიაძე, უფროსი მასწავლებელი გ. ქირია, უფროსი მასწავლებელი ლ. მახარაშვილი, უფროსი მასწავლებელი ნ. ბიძინაშვილი, სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები

სხდომის თავჯდომარე: პროფესორი კ. ყურაშვილი

დღის წესრიგი:

1. კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის დამტკიცება (მომხსენებელი პროფ. კ.ყურაშვილი);
2. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელად იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ბატონ გია ქირიას მოწვევის თაობაზე (მომხსენებელი პროფ. კ.ყურაშვილი).

მომხსენებელმა - სამართლის ფაკულტეტის დეკანმა, საჯარო სამართლის პროფესორმა კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ თქუ სამართლის ფაკულტეტის მიერ დღემდე რეალიზდებოდა მხოლოდ საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამა, ხოლო კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა არ იყო შემუშავებული; კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამით დაინტერესება კი უფრო დიდია, ვიდრე საჯარო სამართლის რეალიზებული სამაგისტრო პროგრამით. პროფესორმა კ. ყურაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო სამართლის ფაკულტეტის უფროსი მასწავლებლის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ბატონ გია ქირიას მიერ მომზადებული კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა, რომელიც მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ კურსებს და 120 სასწავლო კრედიტის მოცულობისაა. პროფესორმა კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭოს მიერ წარმოდგენილი პროგრამის მოწონების შემთხვევაში იშუამდგომლებდა თქუ აკადემიური საბჭოს წინაშე, წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის დამტკიცებისათვის.

აკადემიური საბჭოს სხდომაზე მოწვეულმა უფროსმა მასწავლებელმა გ. ქირიამ ფაკულტეტის საბჭოს გააცნო პროგრამის დეტალები, მისი არსი და მიზანი, ყველა სასწავლო დისციპლინის სილაბუსთა მოკლე მიმოხილვა;

